ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 430

27 ნოემბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №63-ში მდებარე 7793 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (ს/კ №01.18.06.005.056) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 ნოემბრის №46.23.1324 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №63-ში მდებარე 7793 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (ს/კ №01.18.06.005.056) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, შპს „ელზუროსთვის" (ს/ნ №402004353) საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ მის საკუთრებაში არსებული, უფლებრივად უნაკლო, ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზირი №23ა-ში მდებარე 3461 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ №01.10.13.018.024) გადმოცემისა, ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი